

შპს „გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი“

დამტკიცებულია რექტორის მიერ

ბრძანება № 01-01/65 10 დეკემბერი 2013 წ.

სტუდენტთა წერიითი ნაშრომების შესრულების

სტანდარტი

თბილისი

2013 წ.

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. წინამდებარე მოთხოვნები ვრცელდება გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) ყველა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებულ წერით ნაშრომებზე (საბაკალავრო, სამაგისტრო) თუ ნაშრომის სპეციფიკიდან ან სხვა გარემოებებიდან გამომდინარე, გამონაკლისის სახით, პროფესორის მიერ სილაბუსით (პროგრამით) ან უფლებამოსილი ორგანოს მარეგულირებელი აქტით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
2. საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომები ინახება არქივში.
3. გამორჩეული ნაშრომი, ფაკულტეტის საბჭოს რეკომენდაციით გადაეცემა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას და ინახება განუსაზღვრელი ვადით.

მუხლი 2. ზოგადი სტანდარტები

ენა: წერითი ნაშრომები შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე, ორთოგრაფიული, სტილისტური და გრამატიკული შეცდომების გარეშე.

ქაღალდი: ნაშრომი უნდა შესრულდეს A4 ფორმატის თეთრ ქაღალდზე, ორიენტიაცია – ვერტიკალური. ბეჭდვა წარმოებს ერთ გვერდზე. ნახაზები, ცხრილები, ფოტოსურათები შესაძლებელია შესრულებულ იქნას ნებისმიერი სხვა ზომის ფორმატზე, მხოლოდ აღნიშნული გვერდები არ უნდა აიკინძოს ძირითად ტექსტთან ერთად

მინდორი: არე მარცხნიდან და მარჯვნიდან არანაკლებ 2 და არაუმეტეს 3 სანტიმეტრისა; არე ზემოდან და ქვემოდან არანაკლებ 3 და არაუმეტეს 4 სანტიმეტრისა

შრიფტი: ნაშრომი შესრულებულ უნდა იქნას შრიფტით –“sylfaen“ (უცხო ენაზე შესრულების შემთხვევაში შესაბამისი შრიფტით). შრიფტის ზომა 12. თავებისა და ქვეთავების დასახელება ზომით - 14; ცხრილებისა და ნახაზების ნუსხა, სქოლიო, შენიშვნა და სხვა - შრიფტით 10;

სტრიქონებს შორის მანძილი: ძირითადი ტექსტისათვის ინტერვალი არის 1,5. მცირე ზომის სექციებისთვის (ცხრილი, სქოლიო, შენიშვნა და სხვა)- ინტერვალი 1;

გვერდების ნუმერაცია: ყველა გვერდი დანომრილი უნდა იქნეს თანმიმდევრობით. დაუშვებელია თავისუფალი სივრცის ან გვერდის დატოვება და ასევე გვერდების გამეორება. შესავალი გვერდები ტექსტის ძირითად ნაწილთან ერთად, ინომრება თაბახის მარჯვენა ქვედა კუთხეში შრიფტის ზომით - 10. სატიტულო გვერდი არ ინომრება;

თავებისა და ქვეთავების დასახელებები: ყველა თავისა და ქვეთავის დასახელება უნდა იქნეს ჩართული სარჩევში. ყველა თავი უნდა იწყებოდეს ახალი გვერდიდან, ხოლო ქვეთავი შეიძლება გაგრძელდეს იმავე გვერდიდან;

სქოლიო: სქოლიო უნდა განთავსდეს გვერდის ბოლოს. შრიფტის ზომა - 10. სქოლიოს განთავსების ნუმერაცია წარმოებს სიმბოლოებით ან არაბული ციფრებით, რომელიც შესაძლებელია დაიწყოს ყოველ გვერდზე თავიდან;

გამოყენებული წყაროები: გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა უნდა განთავსდეს ნაშრომის ბოლოს, ძირითად ტექსტში მითითებული თანმიმდევრობის მიხედვით. ლიტერატურული წყაროს მითითებისას დაცული უნდა იქნეს შემდეგი სტილი:

- **სტატია:** გვარი. ინიციალი., სრული სათაური., ჟურნალის სრული დასახელება ან აბრევიატურა. წელი, ტომი, ნომერი, გვერდები (დასაწყისი-დასასრული).

- **წიგნი** : ცალკეული გვერდების მითითებისას: გვარი. ინიციალი ., სრული სათაური., გამომცემლობა, წელი, (ტომი)., გვერდები (დასაწყისი-დასასრული).
- **ინფორმაცია გლობალური ქსელი**: ვებ-გვერდის დასახელება. მითითებული უნდა იყოს უკანასკნელი გადამოწმების –რიცხვი, თვე, წელი.;

ციტირება: ციტირებისას უნდა აღინიშნოს ავტორის გვარი, ნაშრომის გამოქვეყნების თარიღი, გვერდი. თუ ციტირებისას გამოქვეყნების თარიღი ხელმისაწვდომი არ არის, უნდა გამოყენებულ იქნეს შემოკლება n.d.(no date);

პერიფრაზირება : წყაროს პერიფრაზირების ფორმით დამოწმებისას, უნდა მიეთითოს ავტორის გვარი, გამოქვეყნების თარიღი.

მუხლი 3. საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა: 1.

სატიტულო გვერდი: უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- უნივერსიტეტის დასახელება;
 - კათედრა/სპეციალობა
 - საბაკალავრო/სამაგისტრო თემის დასახელება;
 - სტუდენტის სახელი და გვარი;
 - ფაკულტეტის დასახელება;
 - ხელმძღვანელის სახელი და გვარი აკადემიური ხარისხის მითითებით;
 - ქალაქი;
 - წელი.
2. **სარჩევი** : სარჩევი მოიცავს საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის ანოტაციის, ტექსტის, გამოყენებული ლიტერატურის, დანართების გვერდების ნომრებს;
 3. **ანოტაცია** : ანოტაცია ასახავს ნაშრომის ძირითად მიზანსა და მოკლე შინაარსს. ანოტაცია უნდა იყოს წარმოდგენილი ქართულ და ინგლისურ ენებზე. ანოტაციის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 2 გვერდს.
 4. **შესავალი** : შესავალი ასახავს თემის აქტუალობას, დასახულ მიზნებსა და ამოცანებს. შესავლის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 3 გვერდს.
 5. **ტექსტის ძირითადი ნაწილი** : ტექსტის ძირითადი ნაწილი შედგება თავებისაგან, რომელთა დაყოფა შეიძლება ქვეთავებად, ქვეთავში კი შეიძლება გამოიყოს პარაგრაფებიც. ტექსტის ძირითად ნაწილში ასახული უნდა იყოს:
 - ლიტერატურის მიმოხილვა (არ უნდა აღემატებოდეს საერთო მოცულობის 1/3-ს);
 - მეთოდები;
 - დასკვნები
 - კვლევის შედეგები და მათი განხილვა (სამაგისტრო ნაშრომის შემთხვევაში)
 6. **საილუსტრაციო მასალა**: საილუსტრაციო მასალა შეიძლება ინტეგრირებული იყოს როგორც ტექსტის ძირითად ნაწილში, ასევე მოწოდებულ იქნეს დანართების სახით;
 7. **დასკვნა** : დასკვნა საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის შედეგების ამსახველი ნაწილია. იგი მოკლედ უნდა პასუხობდეს ნაშრომში დასახულ მიზნებსა და ამოცანებს;

8. **გამოყენებული ლიტერატურა:** ლიტერატურა წარმოდგენილი უნდა იყოს ანბანური თანმიმდევრობით. ჩამონათვალში ჯერ უნდა მიეთითოს გამოცემები ქართულ ენაზე, შემდეგ - უცხოურ ენებზე;
9. **დანართები (არსებობის შემთხვევაში):** აკინძული ნაშრომი დაცვაზე წარმოდგენილი უნდა იყოს 1 ეგზემპლიარად, ხოლო ელექტრონული ვერსია CD კომპაქტ-დისკის სახით.

მუხლი 4. წერიტი ნაშრომის ციფრული ვერსიისადმი წაყენებული მოთხოვნები

1. ნაშრომის ციფრული ვერსია წარმოდგენილი უნდა იქნეს კომპაქტდისკზე (CD).
2. ნაშრომის ტექსტური მასალა წარმოდგენილი უნდა იყოს Word-ის ან PDF ფაილის სახით; ხელით შესრულებული ჩანახატებისა და ნახაზებისათვის დასაშვებია ციფრული ფოტოგრაფირება).
3. წარმოდგენილ CD კომპაქტ დისკს უნდა ჰქონდეს მუქი ფერის CD მარკერით შესრულებული წარწერები, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:
 - ფაკულტეტი, მიმართულება/სპეციალობა;
 - ავტორი;
 - ნაშრომის დასახელება.

მუხლი 5. სტუდენტის წერიტი ნაშრომის შესრულების სტანდარტის ძალაში შესვლა
სტუდენტის წერიტი ნაშრომის შესრულების სტანდარტი მტკიცდება რექტორის მიერ.